ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 07 ოქტომბრის

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „სათნოების სახლის"- ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მომხს: თამარ შავიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისa და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ზურაბი ბანცაძე

3.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ივლისის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ზურაბი ბანცაძე

სხვადასხვა:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და სკოლამდელ დაწესებულებების ზამთრის სეზონისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს:

მარინე ხვედელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

თამარ ლაცაბიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 07 ოქტომბრის მორიგი სხდომის

ოქმი N17

2024 წლის 07 ოქტომბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, **(შმაგი ხიჯაკაძე სათათბირო ხმის უფლებით შვებულებაში ყოფნის გამო)**, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ინგა მაღრაძე სულ საკრებულოს 30 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ზურაბი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

თამარ შავიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „სათნოების სახლის"- ხელმძღვანელი

თამარ ლაცაბიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნ. თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ლ. გოგოლაძე გაზეთი „ჩემი ხარაგაულის" რედაქტორი

ნ. კაპანაძე გაზეთი „ჩემი ხარაგაულის" ჟურნალისტი

ა. ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „სათნოების სახლის"- ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მომხს: თამარ შავიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისa და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ზურაბი ბანცაძე

3.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ივლისის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ზურაბი ბანცაძე

სხვადასხვა:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და სკოლამდელ დაწესებულებების ზამთრის სეზონისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს:

თამარ სებისკვერაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი.

მარინე ხვედელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი.

მომხრე 29

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „სათნოების სახლის"- ხელმძღვანელის თამარ შავიძის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

კ. გოგსაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" შეკითხვით მიმართა მომხსენებელს მოხდა თუ არა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით მოპედის შეძენა,

თ. შავიძემ მომხსენებელმა უპასუხა, რომ მოპედის შეძენა არ მომხდარა, რადგან ამ ტექნიკით ვერ მოვახდენდით ზამთრის პირობებში ბენეფიციართა მომსახურებას. ჯერ-ჯერობით დაქირავებული ტრანსპორტით ვახდენთ ბენეფიციარებისთვის სადილის მიტანას.

ი. მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელოდან"დასვა შეკითხვა, როგორ ხდება ბენეფიციართა შერჩევა,

თ. შავიძემ მომხსენებელმა უპასუხა, რომ სოციალურად დაუცველები წერენ განცხადებას, მივდივართ ადგილზე ვამოწმებთ ოჯახურ პირობებს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად ვიღებთ გადაწყვეტილებას კომისიასთან ერთად ასევე გვაქვს მომლოდინეთა სია და შესაძლებლობის შემთხვევაში ხდება გადაყვანა და განახლება ბენეფიციართა საიის.

დ. კიკნაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, მე, როგორც მაჟორიტარმა წევრმა საღანძილიდან, კარგად ვიცნობ ამ დაწესებულების საქმიანობას , ჩემი სამაჟორიტარო უბნის საღანძიოლის მაგალითზე, ხალხი არის ძალიან კმაყოფილი და აიპის საქმიანობას ვაფასებ დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დავით კიკნაძის წინადადება „სათნოების სახლის"- ხელმძღვანელის თამარ შავიძის მიერ გაწეული საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი.

მომხრე 20

წინააღმდეგი 9

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის ზურაბი ბანცაძის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ბ. კვირიკაშვილმა, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა წარმოდგენილი ანგარიში, სამსახური მუშაობს აქტიურად, აქვთ მიღწევები საქმიანობაში, ცდილობენ გაუმჯობესებას და სამსახურის საქმიანობას კომისია აფასებს დადებითად

კ. გოგსაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" შეკითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რატომ ვერ მიიღო პასუხი მერიისაგან განცხადებაზე, რომლითაც ითხოვდა ნებართვას მისავე საკუთრებაში არსებულ მიწაზე კომერციული საქმიანობის მიზნით ჯიხურის დადგმას.

ზ. ბანცაძემ მომხსენელმა, უპასუხა, რომ ვინაიდან კონკრეტული ადგილი იმდენად ახლოსაა, ღერძულა ხაზთან, მას ჭირდება თანხმობა საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან და შუამდგომლობის აღძვრის შემთხვევაში მერიამ უნდა აიღოს პასუხისმგელობა საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე, რაც გარკვეულ რისკებთან იქნება დაკავშირებული.

ი. მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელოდან" დასვა შეკითხვა, ეკომიგრანტებთან დაკავშირებით.

ვ ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა თუ მერიის დასკვნაა საჭირო ამ შემთხვევაში ჩამოდის გეოლოგი და სწავლობს საკითხს.

თ. ავალიშვილმა :ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხედველობას ახორციელებს თქვენი სამსახური და გაკეთებული გზების უმეტესი ნაწილი შესრულებული სამუშაოების უხარისხობის გამო 2-3 წელიწადში გამოდის მწყობრიდან მაგ. დაგისახელებთ კავილაძეების უბანს

ზ. ბანცაძემ მომხსენელმა, უპასუხა, რომ მაგ გზაზე ზედამხედველობას ანხორციელებდა ზედამხედველი, რომელიც წერს დასკვნას და მოგვდის ჩვენ, გზას აქვს საგარანტიო ვადა და ვალდებულია შეაკეთოს, გზები თავიდან კეთდებოდა ანირების გარეშე ახლა ეს პრობლემა მოიხსნა და ვფიქრობ დაზიანებებიც შემცირდება.

პ. გოგოლაძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, აღნიშნა, რომ ის კომისიის ფორმატში ღებულობდა მონაწილეობას საკითხის განხილვაში, შეიძლება ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს, მაგრამ სამსახური მუშაობს, ზურას პროფესიონალიზმში ეჭვი არავის გვეპარება და ველოდებით მეტ აქტიურობას, ვაყენებ წინადადებას საქმიანობა შეფასდეს დადებითად

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის პაატა გოგოლაძის და კომისიის თავმჯდომარის ბესიკი კვირიკაშვილის წინადადება მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის ზურაბი ბანცაძის

მიერ გაწეული საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი.

წინააღმდეგი 8

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის ზურაბი ბანცაძის ინფორმაცია საკითხზე , ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ივლისის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი.

მომხრე 21

წინააღმდეგი 8

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

სხვადასხვაში მოისმინეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის **თამარ ლაცაბიძის** ინფორმაცია ბაღების ზამთრის სეზონისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ (თან ერთვის) საკრებულოს განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მარინე ხვედელიძის ინფორმაცია სკოლების ზამთრის სეზონისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ (ინფორმაცია ძირითად ოქმს თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**